

შპს „მედი22“

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი


	გვერდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი სახსრების მორაობის ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5
1. ძირითადი საქმიანობა	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	5
4. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8
5. მარაგები	8
6. მოთხოვნები და გადახდილი ავანსები	8
7. ძირითადი საშუალებები	9
8. მიღებული სესხები	11
9. სხვა ვალდებულებები და მიღებული ავანსები	11
10. სამედიცინო მომსახურების თვითღირებულება	11
11. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12
12. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	12
13. საწარმოს უწყვეტობის განხილვა	12
14. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები	12

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	51	441
მარაგები	5	201	106
მოთხოვნები და გადახდილი ავანსები	6	1,556	940
სულ მიმდინარე აქტივები		1,808	1,487
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	3,187	2,836
არამატერიალური აქტივები		1	2
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,188	2,838
სულ აქტივები		4,996	4,325
ვალდებულებები და კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	8	583	726
სხვა ვალდებულებები და მიღებული ავანსები	9	682	411
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,265	1,137
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		833	833
გაუნაწილებელი მოგება		2,898	2,355
სულ კაპიტალი		3,731	3,188
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,996	4,325


 თამარ ჩახუშაშვილი
 დირექტორი

30 სექტემბერი, 2021 წელი


 ანა წულუკიძე
 მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან		3,266	2,868
სამედიცინო მომსახურების თვითღირებულება	10	(2,134)	(1,854)
მთლიანი მოგება		1,132	1,014
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(155)	(142)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(209)	(222)
საოპერაციო მოგება, პროცენტის, მოგების გადასახადის და ცვეთის გამოკლებამდე		768	650
ცვეთა	7	(249)	(159)
საპროცენტო ხარჯი	8	(50)	(38)
კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება / (ზარალი)		(52)	(37)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	12	126	16
მოგება დაბეგრამდე		543	432
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		543	432
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		543	432



თამარ ჩახუნაშვილი
დირექტორი

30 სექტემბერი, 2021 წელი


ანა წულუკიძე
მთავარი ბუღალტერი


კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 დეკემბერი 2019	833	1,923	2,756
წმინდა მოგება	-	432	432
31 დეკემბერი 2019	833	2,355	3,188
წმინდა მოგება	-	543	543
31 დეკემბერი 2020	833	2,898	3,731



თამარ ჩახუშვილი
 დირექტორი

30 სექტემბერი, 2021 წელი




ანა წულუკიძე
 მთავარი ბუღალტერი

ფულადი სახსრების მორაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
სამედიცინო მოსახურებიდან მიღებული თანხები	2,507	2,660
გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებელი	(1,689)	(1,496)
გადახდილი სხვა ხარჯები	(470)	(705)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	348	459
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(488)	(115)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(488)	(115)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხის ძირი	310	300
მიღებული სესხის ძირის დაფარვა	(509)	(217)
სესხის პროცენტის გადახდა	(51)	(37)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(250)	46
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (კლება)	(390)	390
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	441	51
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	51	441


თამარ ჩახუნაშვილი
დირექტორი

30 სექტემბერი, 2021 წელი


ნ. ჩელიძე
მთავარი ბუღალტერი

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „მმედი22“ (შემდგომში „კლინიკა“) 1999 წლის 22 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით.

კლინიკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ნამალაძევის რაიონი, ბუაჩიძის ქ. №12.

კლინიკის ძირითადი საქმიანობაა 0-დან 18 წლამდე მოსახლეობის გადაუდებელი და გეგმიური სტაციონალური მომსახურება.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლინიკის 100% წილის მფლობელი იყო ვახტანგ მაღალთაძე.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (შემდგომში „მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და კომერციულ ბანკების ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან.

მარაგები

მარაგები შეფასებულია თავდაპირველ და წმინდა რეალიზებად ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ფასის საფუძველზე.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**მოთხოვნები და გადახდილი ავანსები**

მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მათი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, მიწის გაუფასურების რეზერვი. მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მაჩვენებელი, რომ კლინიკა ვერ შეძლებს ყველა მისაღები თანხის ამოღებას თავდაპირველი საკონტრაქტო ვადების შესაბამისად. მოთხოვნის საბალანსო ღირებულება მცირდება საექვო ვალების რეზერვის გამოყენებით და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა უიმედოა, იგი საექვო ვალების რეზერვის ანგარიშის საპირისპიროდ ჩამოიწერება.

გადახდილი ავანსები აღიარდება გადახდილი ფულადი სახსრების ოდენობით. გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მათ აღდგენით ღირებულებამდე, როდესაც არსებობს არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ კლინიკა ვეღარ მიიღებს თავდაპირველად წარმოშობილ მოთხოვნას სრულად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება. თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია, ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი მზად არის ექსპლუატაციაში გასაშვებად. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
შენობა-ნაგებობები	50
საოფისე აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკა	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და აღრიცხვის მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით, წლიური 15%-იანი განაკვეთით.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება სესხის მიღებასთან დაკავშირებული ყველა პირდაპირი დანახარჯების გამოკლებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მიღებული სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სხვა ვალდებულებები და მიღებული ავანსები

სხვა ვალდებულებები და მიღებული ავანსები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მათი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან

კლინიკა შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც შესაძლებელია შემოსავლის თანხის საიმედოდ შეფასება ან არსებობს კლინიკისთვის მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა. შემოსავლები აისახება კორექტირების, ფასდაკლებების, დათმობების გარეშე. ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან მოიცავს მომსახურებების გაწევისთვის მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

სამედიცინო მომსახურების თვითღირებულება

სამედიცინო მომსახურების თვითღირებულება წარმოადგენს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია გაწეული სამედიცინო მომსახურებებიდან შემოსავლების მიღებასთან, მათ შორის და არა მხოლოდ, სამედიცინო პერსონალის ხელფასები და სხვა სარგებელი, მასალების, იჯარის, კომუნალური და სხვა პირდაპირი ხარჯები.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კლინიკის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების დღეს არსებული ფუნქციონალური ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი - საკურსო სხვაობა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)-ს ნაწილში.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

4. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს:

	2020	2019
ნაღდი ფული სალაროში	12	259
ფული ბანკში	39	182
	51	441

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ვალუტის მიხედვით:

	2020	2019
ქართული ლარი (GEL)	51	441
აშშ დოლარი (USD)		-
	51	441

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 39 ათასი ლარი, ანუ კომერციულ ბანკებში არსებული თანხები, განთავსებულია ერთ (2019: ერთ) ქართულ ბანკში, რომელსაც მინიჭებული აქვს „BB-“ რეიტინგი (სარეიტინგო სააგენტო Fitch-ისგან).

5. მარაგები

მარაგები მოიცავს:

	2020	2019
მედიკამენტები	70	20
სამედიცინო სახარჯი მასალა	130	73
სხვა	1	13
	201	106

6. მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

მოთხოვნები და გადახდილი ავანსები მოიცავს:

	2020	2019
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1	2
სამედიცინო მოსახურებიდან მისაღები თანხები	1,555	938
	1,556	940

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა ასეთია:

	მიწის ნაკვეთი	შენობა- ნაგებობები	საოფისე აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება					
2018 წლის 31 დეკემბერი	646	1,812	661	20	3,139
მატება	-	-	116	-	116
2019 წლის 31 დეკემბერი	646	1,812	777	20	3,255
დაგროვილი ცვეთა					
2018 წლის 31 დეკემბერი	-	(50)	(208)	(2)	(260)
დარიცხული ცვეთა	-	(36)	(119)	(4)	(159)
2019 წლის 31 დეკემბერი	-	(86)	(327)	(6)	(419)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 31 დეკემბერი	646	1,762	453	18	2,879
2019 წლის 31 დეკემბერი	646	1,726	450	14	2,836

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

7. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების მოძრაობა ასეთია: (გაგრძელება)

	მიწის ნაკვეთი	შენობა- ნაგებობები	საოფისე აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება					
2019 წლის 31 დეკემბერი	646	1,812	777	20	3,255
მატება	-	-	600	-	600
2020 წლის 31 დეკემბერი	646	1,812	1,377	20	3,855
დაგროვილი ცვეთა					
2019 წლის 31 დეკემბერი	-	(86)	(327)	(6)	(419)
დარიცხული ცვეთა	-	(27)	(218)	(4)	(249)
2020 წლის 31 დეკემბერი	-	(113)	(545)	(10)	(668)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 31 დეკემბერი	646	1,726	450	14	2,836
2020 წლის 31 დეკემბერი	646	1,699	832	10	3,187

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

8. მიღებული სესხები

სასესხო ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი მოძრაობა შესაბამის წლებში შემდეგია:

	თიბისი ბანკი	სულ
2019 წლის 1 იანვარი	568	568
დამატებები	300	300
დარიცხული პროცენტი	37	37
გადახდილი ძირი	(217)	(217)
გადახდილი პროცენტი	(37)	(37)
კურსთაშორისი სხვაობა	75	75
2019 წლის 31 დეკემბერი	726	726
დამატებები	310	310
დარიცხული პროცენტი	51	51
გადახდილი ძირი	(509)	(509)
გადახდილი პროცენტი	(51)	(51)
კურსთაშორისი სხვაობა	56	56
2020 წლის 31 დეკემბერი	583	583

9. სხვა ვალდებულებები და მიღებული ავანსები

სხვა ვალდებულებები და მიღებული ავანსები მოიცავს:

მომწოდებლებზე გადასახდელი თანხები
გადასახდელი ხელფასები

2020	2019
445	149
237	262
682	411

10. სამედიცინო მომსახურების თვითღირებულება

სამედიცინო მომსახურების თვითღირებულება მოიცავს:

სამედიცინო პერსონალის ხელფასები
მედიკამენტები და დამხმარე სამედიცინო ინვენტარი
სხვა ხარჯები

2020	2019
1,623	1,563
345	243
166	48
2,134	1,854

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

11. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს:

	2020	2019
კომუნალური ხარჯი	78	65
სამეურნეო ხარჯი	37	59
საოფისე ინვენტარი	8	14
კომუნიკაციის ხარჯი	21	18
რემონტი	4	26
კომპიუტერის ხარჯი	2	4
საკონსულტაციო ხარჯი	6	-
სხვა	53	36
	209	222

12. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი) წარმოადგენს უსასყიდლოდ გადმოცემულ მედიკამენტებს და სამედიცინო სახარჯ მასალებს.

13. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ხელმძღვანელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. ხელმძღვანელობა მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კლინიკის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კლინიკის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

14. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.